

## საკონტროლო კითხვები:

1. საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორებისას რომელი საბუთები გამოიყენება?
2. საგადახდო საბუთების გაფორმებისას კანონმდებლობით რომელი სავალდებულო რეკვიზიტებია განსაზღვრული?
3. რას წარმოადგენს ბანკებში საგადახდო საბუთების წარდგენის ზოგადი წესი?
4. რა ქმედებები ხორციელდება ბანკის მხრიდან კლიენტის მიერ საგადახდო საბუთების წარდგენისას?
5. რა არის საგადახდო დავალება?
6. ბანკში საგადახდო დავალების წარდგენის რომელი ორი გზა იცით?
7. რა არის ბანკში საგადახდო დავალების ქალაქით წარდგენის გზის არსი?
8. რას ნიშნავს „ვადაში გაუნაღდებელი საგადახდო საბუთების კარტოთეკა“?
9. რა შეიძლება ითქვას ბანკში საგადახდო დავალების ელექტრონული შეტყობინებების სახით წარდგენის შესახებ?
10. რა არის საინკასო დავალება?
11. რა ძირეული განსხვავებაა საგადახდო დავალებასა და საინკასო დავალებას შორის?
12. რას წარმოადგენს დოკუმენტური ოპერაციების არსი და როგორია მისი განხორციელების მექანიზმი?
13. უფრო მეტად ვის ინტერესებს იცავს დოკუმენტური აკრედიტივის მექანიზმი: მყიდველის (იმპორტიორი) თუ გამყიდველის (ექსპორტიორი)?
14. დოკუმენტური აკრედიტივის რომელი სახეობები ვიცით?
15. რა შეიძლება ითქვას დოკუმენტური ინკასოს შესახებ?
16. როგორ დაახასიათებდით ჩეკის ისტორიულ „წარსულს“?
17. თანამედროვე ჩეკების რა ნაირსახეობები არსებობს?
18. რას წარმოადგენს სამგზავრო ჩეკი და რა უპირატესობებით გამოირჩევა იგი?
19. რა შეიძლება ითქვას საბანკო (საანგარიშსწორებო) ჩეკის შესახებ?
20. რომელ აუცილებელ რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს საბანკო (საანგარიშსწორებო) ჩეკი?
21. საბანკო (საანგარიშსწორებო) ჩეკის რომელი სახეობები იცით?
22. როგორია ფიზიკური პირების მიერ უნაღდო ანგარიშსწორების წარმოების ზოგადი წესი?
23. როგორც წესი, რა აისახება ფიზიკური პირის განცხადებაში საბანკო ანგარიშიდან გადახდებისას?